

შპს ევროტრანსი 2010
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ევროტრანსი 2010

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის.



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ევროტრანსი 2010“-ის („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;



შპს ევროტრანსი 2010
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
 - თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2024 წლის 27 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „ევროტრანსი 2010“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

ორგანიზაცია „ევროტრანსი 2010“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/კ 406030977, რეგისტრაციის თარიღი 07/07/2010. იურიდიული მისამართი- საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გორგასალის ქ. №61 კომპანიის დამფუძნებელი ზაზა ხელხელაური (01010002960) – 100%, დირექტორი - ზაზა ხელხელაური (01010002960). შპს „ევროტრანსი 2010“-ის ძირითადი საქმიანობა არის „სატვირთო საგზაო ტრანსპორტი“ (49410).

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალოსაწარმოებისათვის“-ის მიხედვით.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

შპს ევროტრანსი 2010
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, ასეთი კომპანიას არ გააჩნია.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.



ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ავდის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.



დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

შპს ევროტრანსი 2010
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	328	4,373	623,121
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	74,435	324,944	118,680
სხვა პირებზე ვანსებად და სესხებად	3			
გაცემული ფულადი სახსრები		53,259	147,981	181,661
მარაგები	4	2,087	9,155	53,006
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	362,205	10,439	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		492,314	496,892	976,468
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,198,509	1,345,728	1,289,605
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,198,509	1,345,728	1,289,605
სულ აქტივები	-	1,690,823	1,842,620	2,266,073
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	28,525	38,012	91,825
გამოუმუშავებელი შემოსავალი	8	268,220	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	9	3,806	0	9,146
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	250,964	572,541	35,040
გრძელევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	354,890
სულ ვალდებულებები		551,515	610,553	490,901
სულ ვალდებულებები	-	551,515	610,553	490,901
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		191,290	191,290	191,290
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	948,018	1,040,777	1,583,882
სულ საკუთარი კაპიტალი	-	1,139,308	1,232,067	1,775,172
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	-	1,690,823	1,842,620	2,266,073



2022-2023 საანგარიშო პერიოდი

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	2023	2022
მომსახურების გაწევიდან	12	1,861,208	2,732,553
სხვა შემოსავალი	12.1	25	4,315
ნეტო ამონაგები		1,861,233	2,736,868
გაყიდვების თვითღირებულება	13	-1,012,848	-1,989,420
საერთო მოგება		848,385	747,448
დასაქმებულთა ანაზღაურება		-308,390	-376,234
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-117,781	-113,096
საპროცენტო ხარჯი		-31,475	-24,153
იჯარის ხარჯი		-7,500	-3,813
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-455,601	-385,359
საპროცენტო შემოსავალი	12.2	4,707	8,496
სულ საოპერაციო ხარჯები		-916,040	-894,159
საოპერაციო მოგება		-67,655	-146,711
არასაოპერაციო ხარჯები (შემოსავლები)			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	12.3	-17,682	24,665
და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		-85,337	-122,046
ოპერაციებიდან			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,232,067	1,775,172
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-6,508	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-914	-421,059
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,139,308	1,232,067



**2023 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფულადი ნაკადების
ანგარიშგება**

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიმდინარე წლის მოგება		-85,337	-122,046
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით		117,781	113,096
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-6,535	-206,264
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		7,068	43,851
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება (ზრდა)		262,539	-53,813
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		295,517	-225,176
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-1,563	-155,124
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		33,002	0
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		31,439	-155,124
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების გადახდა		-321,577	182,611
გაცემული დივიდენდები		-914	-421,059
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-322,492	-238,448
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		4,464	-618,748
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის დასაწყისში		4,373	623,121
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		-8,509	0
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის ბოლოსთვის		328	4,373



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხებისგან.

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხებისგან.

3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

ამ მუხლში მოცემული სესხად გაცემული თანხები.

4. სხვა მარაგები

სხვა მარაგები შედგება საწვავის და სათადარიგო ნაწილების ნაშთებისაგან.

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

ამ მუხლში მოცემულია საწარმოს პერსონალის მიმართ არსებული მოთხოვნები (სამივლინებოდ და საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები). შესულია საგადასახადო აქტივი რაც ძირითადად შედგება ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადისაგან წარმოქმნილი ზედმეტობისაგან.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ძირითადად შედგება მიწის ნაკვეთებისგან ღირებულება 422 930,00 ლარი, სატრანსპორტო საშუალებებისგან ნარჩენი ღირებულება 740 502,00 ლარი, მანქანა დანადგარებისგან ნარჩენი ღირებულება 35 077,00 ლარი.

ვალდებულებები

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

8. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი მოიცავს სამშენებლო კონტრაქტიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.



9. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულება მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ საგადასახადო ვალდებულებებს.

10. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

მუხლი შედგება ადგილობრივი ბანკებისაგან აღებული სასესხო ვალდებულებებისგან.

11. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა პერიოდებში მიღებული მოგებისგან. პერიოდულად კომპანია გასცემს დივიდენდებს დამფუძნებელზე.

12. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს, რომელიც მიღებულია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით გაწეული საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვებიდან.

12.1 სხვა შემოსავალი შედგება საშუამოვლო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

12.2 ამ მუხლში შედის საპროცენტო შემოსავალი.

12.3 მუხლი მოიცავს წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან.

13. ხარჯები

კომპანიის ძირითადი ხარჯები დაკავშირებულია სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვასთან.



შპს ევროტრანსი 2010
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სხვა ხარჯები დაკავშირებულია ადმინისტრაციულ საქმიანობასთან.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	451,173.39
დასაქმებულთა ანაზღაურება	308,390.29
იჯარის ხარჯი	7,500.00
საერთაშორისო და ადგილობრივ გადაზიდვებთან დაკავშირებული ხარჯები	1,012,848.84
საპროცენტო ხარჯი	31,474.77
სოციალური დანარიცხები	4,427.44
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	117,781.37
ჯამი	1,933,596.10

